


ქალაქები და რეგიონები: პაქტი ბავშთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად



**one in five
un sur cinq**

არსებული მონაცემებით, ევროპაში ხუთიდან ერთი ბავშვი ხდება სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმის მსხვერპლი, ევროპის საბჭომ, გაითვალისწინა რა პრობლემის მასშტაბურობა, 2011 წელს წამოიწყო კამპანია „ერთი ხუთიდან“, რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება ყველასათვის - ბავშვების, მშობლების და მათი, ვისაც კონტაქტი აქვთ ბავშვებთან. გარდა ამისა, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის - ლანზარეტის კონვენციის სახელით ცნობილი კონვენციის - რატიფიკაციისა და განხორციელების ხელშეწყობა ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოში და მათ საზღვრებს მიღმაც.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესმა თავისი წვლილი შეიტანა „ერთი ხუთიდან“ კამპანიაში და გამოსცა პაქტი ქალაქებისა და რეგიონებისათვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად. მასში მოცემულია რიგი ინიციატივებისა და პოლიტიკური ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ხელს შეუწყობს ბავშვებზე მორგებული მომსახურებების განვითარებას, ბავშვების დაცვას და დაეხმარება სექსუალური ძალადობის პრევენციაში საზოგადოების შიგნით.

www.coe.int/congress-oneinfive
congress.oneinfive@coe.int

